სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 500 Georgia, L.P. ვენჩერულ საინვესტიციო ფონდში მონაწილეობასთან დაკავშირებული

2025 წლის ანგარიში

სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №2420 განკარგულების შესაბამისად, 2022 წლის 27 დეკემბრიდან მონაწილეობს 500 Georgia, L.P. ვენჩერულ საინვესტიციო ფონდში.

„საინვესტიციო ფონდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 7^2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოს საინვესტიციო ფონდში/ქვეფონდში მონაწილეობის (ერთეულის ფლობის) შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ყოველი წლის 1 ივნისამდე ამზადებს და საქართველოს პარლამენტს უგზავნის წინა წლის ანგარიშს.

შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს „საინვესტიციო ფონდების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ საანგარიშო პერიოდზე (2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 500 Georgia, L.P. ვენჩერულ საინვესტიციო ფონდში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ანგარიშს.

ინფორმაცია 500 Georgia, L.P. ვენჩერული საინვესტიციო ფონდის შესახებ

500 Georgia L.P. წარმოადგენს ვენჩერულ საინვესტიციო ფონდს, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია დელავერის შტატში კომანდიტური საზოგადოების (Limited Partnership) ფორმით. აღნიშნული კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარს (General Partner) წარმოადგენს ასევე დელავერში დაფუძნებული 500 Georgia, L.L.C. (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), ხოლო სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო წარმოადგენს კომანდიტური საზოგადოების კომანდიტს (Limited Partner) - ფონდის ინვესტორს. 500 Georgia L.P. არის დახურული საინვესტიციო ფონდი, რაც ნიშნავს იმას, რომ მას გააჩნია საქმიანობის კონკრეტული, წინასწარ განსაზღვრული ვადა, რის გასვლის შემდგომაც ფონდი თვითლიკვიდირდება და ინვესტორებს უბრუნებს შესაბამის ამონაგებს. ფონდის ვადა შეადგენს 10 წელს.

საინვესტიციო ფონდის აქტივების მმართველ კომპანიას წარმოადგენს დელავერში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია 500 Startups Management Company, L.L.C.

ფონდში სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პასუხისგებლობა შეზღუდულია მხოლოდ მონაწილეობის თანხით, მაშინ როდესაც კომპლემენტარის

პასუხისგებლობა შეუზღუდავი და პერსონალურია (რაც დამახასიათებელია ამგვარი ფონდების სტრუქტურისა და ზოგადად კომანდიტური საზოგადოების (Limited Partnership) სამართლებრივი ფორმისათვის).

500 Georgia, L.P. ვენჩერული საინვესტიციო ფონდის მიზანი

500 Georgia L.P. ვენჩერული საინვესტიციო ფონდის მთავარ მიზანს წარმოადგენს 500 Startup აქსელერაციის პროგრამაში (რომელიც ხორციელდება სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით) მონაწილე კომპანიებისათვის საწყისი კაპიტალის მიწოდება. დაფინანსების შედეგად, 500 Georgia L.P. გახდება დაფინანსებული კომპანიების წილობრივი მონაწილე. დაფინანსების მოსაპოვებლად საჭიროა, კომპანიები შეესაბამებოდნენ კონკრეტულ საინვესტიციო კრიტერიუმებს. აღნიშნული კომპანიების საქმიანობის სფეროს უნდა წარმოადგენდეს საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომუნიკაციები ან ინტერნეტ ტექნოლოგიები. ვენჩერული საინვესტიციო ფონდი კომპანიებში მონაწილეობითა და აქსელერაციის პროგრამის მხარდაჭერით, ინვესტირებულ კომპანიებს გაუწევს მხარდაჭერას და სხვადასხვა მომსახურებას, რაც მიმართული იქნება ამ კომპანიების მასშტაბირებასა და ზრდაზე.

სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ 500 Georgia, L.P. ვენჩერულ საინვესტიციო ფონდში მონაწილეობის მიზეზი

აღნიშნულ ფონდში სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მონაწილეობა მიზნად ისახავს ადგილობრივი ტექნოლოგიური სტარტაპკომპანიებისა და ეკოსისტემის შემდგომ განვითარების ხელშეწყობას მათთვის დაფინანსების მიწოდებით, ასევე თავად სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ საკუთარი გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას.

500 Georgia, L.P. ვენჩერული საინვესტიციო ფონდის ინფორმაცია განხორციელებული საქმიანობის შესახებ

„საინვესტიციო ფონდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 7[2] პუნქტის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი. დროის აღნიშნულ მონაკვეთში, მთელმა ფონდმა ინვესტიცია განახორციელა 18 სტარტაპში 1.8 მლნ. ამერიკული დოლარის ოდენობით.

დაფინანსებული სტარტაპები ინდუსტრიების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ხელოვნური ინტელექტი - 33,3% (6 სტარტაპი), სერვისად მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფა – 22,2% (4 სტარტაპი), სხვა ინდუსტრიები - 44,5% (8 სტარტაპი).

დაფინანსებული სტარტაპების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი 1.

ცხრილი 1:

კომპანიის დასახელება (ქართულად)	ააქსელერაციის რაუნდი	ბიზნეს მოდელი	ინდუსტრია (ENG)	ინდუსტრია (ქარ)
აინო	მე-8 რაუნდი	B2B	SaaS	სერვისად მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფა
ქუიდ	მე-8 რაუნდი	B2B	AI	ხელოვნური ინტელექტი
ევოლვი	მე-8 რაუნდი	B2B	HRTech	ტექნოლოგიები ადამიანური რესურსების მართვისა და დასაქმების ინდუსტრიაში
ქვისლი	მე-8 რაუნდი	B2B	eCommerce	ონლაინ ვაჭრობა
ასპის	მე-8 რაუნდი	B2C	Blockchain	ბლოკჩეინი
ფაქტორ	მე-8 რაუნდი	B2B	FinTech	ფინანსური და საგადახდო ტექნოლოგიები
ადმაგიკა	მე-9 რაუნდი	B2C	AI	ხელოვნური ინტელექტი
დატაქოლი	მე-9 რაუნდი	B2B	HealthTech	ჯანდაცვის ტექნოლოგიები
ედსმამ	მე-9 რაუნდი	B2B	MarTech	მარკეტინგის ტექნოლოგიები
სპორტვაიზი	მე-9 რაუნდი	B2B	Enterprise SaaS	სერვისად მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფა
ქალსი AI	მე-9 რაუნდი	B2B	AI	ხელოვნური ინტელექტი
ფეშენლაბი	მე-9 რაუნდი	B2B	AI	ხელოვნური ინტელექტი
სთოქბუსტერი	მე-9 რაუნდი	B2B	Deep Tech	მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტა
კვანტუმ ნეურონი	მე-9 რაუნდი	B2B	AI	ხელოვნური ინტელექტი
თოქ ლაბი	მე-9 რაუნდი	B2B	AI	ხელოვნური ინტელექტი
დეფექტ AI	მე-9 რაუნდი	B2B	HealthTech	ჯანდაცვის ტექნოლოგიები
ნეოლინკი	მე-9 რაუნდი	B2B, B2G	Enterprise SaaS	სერვისად მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფა
რეგუქიფაი	მე-9 რაუნდი	B2B	Enterprise SaaS	სერვისად მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფა

საინვესტიციო თანხის მოცულობა და სარგებელი

სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 500 Georgia L.P.-ის კაპიტალში მონაწილეობა განსაზღვრულია მაქსიმუმ 5,000,000.00 აშშ დოლარით, რაც მოიცავს

აგრეთვე ფონდის საკომისიოსა და სხვა ხარჯებს. თავად ფონდის ჯამურ სამიზნე ზომას წარმოადგენს 20,000,000.00 აშშ დოლარი. „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს წილობრივი მონაწილეობა არ აღემატება ფონდის ჯამური კაპიტალის 40%-ს წილს/ერთეულებს. საინვესტიციო ხელშეკრულების შესაბამისად, ფონდი მისი დახურვის მომენტამდე სააგენტოს მოსთხოვს მხოლოდ იმ რაოდენობით გადარიცხვების განხორციელებას, რაც არ აღემატება ნებისმიერ დროის მონაკვეთში ფონდის გამოშვებული წილის/ერთეულების 40%-ს. ამდენად, უზრუნველყოფილი იქნება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

რაც შეეხება სარგებელს, საინვესტიციო ხელშეკრულების შესაბამისად ამონაგების განაწილება მოხდება კომპანიების წარმატებით მასშტაბირებისა და მათში წილის გაყიდვით მე-5 წლიდან ფონდის თვითლიკვიდაციის ვადამდე.